


COVID-19-თან დაკავშირებული სოციალური სტიგმა



სოციალური სტიგმის პრევენციისა და აღმოფხვრის სახელმძღვანელო

სამიზნე აუდიტორია: სახელმწიფო, მედია და ის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც ახალ კორონავირუსზე (COVID-19) მუშაობენ.

რა არის სოციალური სტიგმა?

ჯანმრთელობის კონტექსტში, სოციალური სტიგმა წარმოადგენს პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას, რომლებიც იზიარებენ გარკვეულ მახასიათებელსა და კონკრეტულ დაავადებას. ეპიდემიების დროს, დაავადების არასწორად აღქმის გამო, ადამიანები შესაძლოა სტერეოტიპების, დისკრიმინაციის, განსხვავებული მოქცევის და/ან სტატუსის დაკარგვის მსხვერპლი გახდნენ.

ასეთი დამოკიდებულება უარყოფითად აისახება როგორც დაავადებულ ადამიანებზე, ასევე მათზე მზრუნველ პირებზე, ოჯახზე, მეგობრებსა და გარშემო საზოგადოებაზე. შესაძლოა სტიგმით ის ადამიანებიც დაზარალებულნი იყვნენ, ვინც დაავადებული არ არის, მაგრამ გარკვეულ მახასიათებლებს იზიარებს დაავადებულ ჯგუფთან.

COVID-19-ის მიმდინარე ეპიდემიამ სოციალური სტიგმა წარმოქმნა, და დისკრიმინაციული მოპყრობა გამოიწვია, როგორც გარკვეული ეთნიკური ჯგუფების, ასევე ვირუსთან კონტაქტში მყოფი პირების მიმართ.

რატომ იწვევს COVID-19 სტიგმას?

COVID-19-თან დაკავშირებული სტიგმა ეფუძნება სამ ძირითად ფაქტორს: 1) ეს არის დაავადება, რომელიც ახალია და მის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია; 2) ადამიანებს ხშირად გვემინია ამოუცნობის; 3) მარტივია ამ შიშის „სხვასთან“ ასოცირება.

ბუნებრივია, რომ მოსახლეობაში დაბნეულობა, შფოთვა და შიშია გავრცელებული. სამწუხაროდ, ეს ფაქტორები ასევე ხელს უწყობენ საზიარო სტერეოტიპების ჩამოყალიბებას.

რა გავლენა აქვს სტიგმას?

სტიგმას შეუძლია შეასუსტოს სოციალური ერთობა და გამოიწვიოს ადამიანთა ჯგუფების სოციალური იზოლაცია და ამით ხელი შეუწყოს ვირუსის უფრო მეტად გავრცელებას. რაც შემდგომში ჯანმრთელობის მწვავე პრობლემებს განაპირობებს და გაართულებს დაავადების გავრცელების კონტროლს.

სტიგმას შეუძლია უზიაროს ადამიანებს:

- დამალონ თავიანთი დაავადება სტიგმის თავიდან ასაცილებლად
- დააყოვნონ სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვა
- თავიდან აირიდონ ჯანსაღი ქცევები

როგორ ვმართოთ სოციალური სტიგმა?

მტკიცებულებები აჩვენებს, რომ გადამდები დაავადებების მიმართ სტიგმა და დისკრიმინაცია ამ დაავადებებზე პასუხს აფერხებს. რაც მუშაობს, საიმედო სამედიცინო სერვისებისადმი ნდობის აღდგენაა, დაზარალებულთათვის თანაგრძნობის გამოხატვა, დაავადების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება და ეფექტური, პრაქტიკული ზომების გატარება, რათა ადამიანებმა საკუთარი თავისა და ახლობლების უსაფრთხოდ ყოფნა უზრუნველყონ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ მივაწოდებთ მოსახლეობას ინფორმაციას COVID-19-ის შესახებ, რათა მაქსიმალური ზომები იქნას მიღებული დაავადებასთან საბრძოლველად და შიშისა და სტიგმის თავიდან ასაცილებლად. საჭიროა ისეთი გარემოს შექმნა, სადაც დაავადება და მისი ეფექტები განხილული იქნება ღიად, გულწრფელად და ეფექტურად.

ქვემოთ მოცემულია რამოდენიმე რჩევა, თუ როგორ გადავჭრათ და თავიდან ავიცილოთ სოციალური სტიგმა:

1. სიტყვები მნიშვნელოვანია: რა უნდა ვთქვათ და რა არ უნდა ვთქვათ ახალ კორონავირუსზე (COVID-19) საუბრისას
2. შეიტანეთ თქვენი წვლილი: მარტივი იდეები სტიგმის თავიდან ასაცილებლად
3. რჩევები და ძირითადი გზავნილები კომუნიკაციის შესახებ

სიტყვები მნიშვნელოვანია:

როდესაც კორონავირუსულ დაავადებაზე ვსაუბრობთ, გარკვეულ სიტყვებს (მაგ. საეჭვო შემთხვევა, იზოლაცია...) შესაძლოა ხალხისთვის უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდეს და ხელი შეუწყოს სტიგმის გაძლიერებას. ამგვარ სიტყვებს შეუძლიათ არსებული უარყოფითი სტერეოტიპების და არასწორი წარმოდგენების გაღრმავება, დაავადებასა და სხვა ფაქტორებს შორის მცდარი კავშირების გაძლიერება, საყოველთაო შიშის გავრცელება და დაავადებულთა დისკრიმინაცია.

ამ ყველა ფაქტორმა შესაძლოა ხალხი შეაფერხოს, ჩაიტარონ სკრინინგი და ტესტირება, და განთავსდნენ კარანტინში. ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ მიდგომას „ადამიანი უპირველეს ყოვლისა“, რომელიც პატივს სცემს და უპირატესობას ანიჭებს ადამიანს ყველა საკომუნიკაციო არხში, მათ შორის მედიაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიაში გამოყენებული სიტყვები, რადგან სწორედ ეს სიტყვები აყალიბებს პოპულარულ ენას და საკომუნიკაციო სიტყვებს ახალ კორონავირუსზე (COVID-19) საუბრისას. ინფორმაციის ნეგატიურ გაშუქებას შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსახლეობაზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი პირებს, რომლებსაც შეაძლოა ჰქონდეთ კორონავირუსი, ასევე დაავადებულებს ან მათ ოჯახის წევრებს.

ბევრი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ შეუძლია ინკლუზიური ენის და ნაკლებად მასტიგმატიზებული ტერმინოლოგიის გამოყენებას, დადებითი ეფექტი იქონიოს აივ ინფექციის, ტუბერკულოზისა და H1N1 გრიპის ეპიდემიებისა და პანდემიების კონტროლზე.

რა უნდა ვთქვათ და რა არ უნდა ვთქვათ

ქვემოთ მოცემულია რამოდენიმე მაგალითი, თუ რა უნდა ვთქვათ (კი) და რა არ უნდა ვთქვათ (არა), როდესაც COVID-19-ზე ვსაუბრობთ:

კი - ისაუბრეთ ახალი კორონავირუსის დაავადებაზე (COVID-19)

არ - მიაკუთვნოთ დაავადებას გეოგრაფიული ლოკაცია ან ეთნიკურობა, ეს არ არის „ვუჰანის ვირუსი“, „ჩინური ვირუსი“ ან „აზიური ვირუსი“.

დავადების ოფიციალური დასახელება გამიზნულად იყო არჩეული ისე, რომ თავიდან აგვეცილებინა სტიგმა - COVID-19: “CO” აღნიშნავს კორონას, “VI”-ვირუსს და “D”-დაავადებას, ხოლო 19 აღნიშნავს 2019 წელს, როდესაც დაავადება პირველად გამოჩნდა.

კი - გამოიყენეთ ტერმინები „პირები, რომელთაც აქვთ COVID-19“, „პირები, რომლებიც COVID-19-ის საწინააღმდეგო მკურნალობას იტარებენ“, „COVID-19-სგან გამოჯანმრთელებული პირები“ ან „პირები, რომლებიც დაიღუპნენ COVID-19-სგან“

არ - უწოდოთ დაავადების მქონე ადამიანებს „COVID-19-ის შემთხვევა“ ან „მსხვერპლი“

კი - გამოიყენეთ ტერმინები „პირები, რომელთაც შესაძლოა COVID-19 ჰქონდეთ“ ან „COVID-19-ის სავარაუდოდ მქონე პირები“

არ - უწოდოთ ასეთ ადამიანებს „COVID-19-ზე ექვიმტანილები“ ან „საექვო შემთხვევეი“

კი - გამოიყენეთ ტერმინები COVID-19-ის „შემენა“ ან „განვითარება“

არ - გამოიყენოთ ტერმინები „COVID-19-ის გადამტანი“, „ვირუსის გამავრცელებელი“, „სხვისი დამაინფიცირებელი“, რადგან აღნიშნული ფრაზები გულისხმობს გამიზნულ გავრცელებას და ადანაშაულებს ადამიანს. კრიმინალური ან არაჰუმანური ტერმინოლოგიის გამოყენება შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ინფიცირებულმა ადამიანებმა დანაშაული ჩაიდინეს, ან სხვებზე ნაკლებ ჰუმანურები არიან, რაც აღვივებს სტიგმას, ამცირებს თანაგრძნობას და პოტენციურად ხელს უშლის, რომ ადამიანმა დროულად მიიღოს ისეთი სერვისები, როგორცაა დაავადების სკრინინგი, ტესტირება და მკურნალობა

კი - ისაუბრეთ COVID-19-ის დაზუსტებული რისკების შესახებ, მხოლოდ სამეცნიერო და ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით

არ - გაიმეოროთ ან გაავრცელოთ დაუდასტურებელი ინფორმაცია და თავი მოარიდეთ ისეთი ტერმინების გამოყენებას, რომლებმაც შესაძლოა შიში დათესონ მოსახლეობაში („შავი ჭირი“, „აპოკალიფსი“ და სხვა.)

კი - ისაუბრეთ დადებითად და ხაზი გაუსვით პრევენციისა და მკურნალობის ეფექტურობასა. ადამიანთა უმრავლესობისთვის, ეს არის დაავადება, რომელსაც ისინი აუცილებლად დაძლევენ. არსებობს მარტივი გზები, რითიც შეგვიძლია ვუზრუნველყოთ საკუთარი, ჩვენი ახლობლების და ყველაზე მოწყვლადების უსაფრთხოება.

არ - გაამახვილოთ ყურადღება უარყოფით ან მუქარის მესიჯებზე. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ერთად, რათა დავეხმაროთ ყველაზე მოწყვლადებს.

კი - გაამახვილოთ ყურადღება კორონავირუსის პრევენციული ზომების ეფექტურობაზე, ასევე ადრეულ სკრინინგზე, ტესტირებასა და დროულ მკურნალობაზე

შეიტანეთ თქვენი წვლილი:

მთავრობებს, მოქალაქეებს, მედიას, გავლენის მქონე პირებსა („ინფლუენსერები“) და ზოგადად საზოგადოებას, მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შესარულოს ჩინელი და ზოგადად აზიელი ხალხის მიმართ სტიგმის შესაჩერებლად და შესამცირებლად. ჩვენ ყველა წინდახედული და დაფიქრებული უნდა ვიყოთ, როდესაც სოციალურ მედიას და სხვა საკომუნიკაციო პლატფორმებს ვიყენებთ და გამოვიჩინოთ მხარდამჭერი ქცევა დაავადებასთან (COVID-19) მიმართებაში.

ქვემოთ მოცემულია რამოდენიმე რჩევა, თუ რა ქმედებებით შეიძლება შევეწინააღმდეგოთ

სტიგმას:

- **ფაქტების გავრცელება:** COVID-19-ის გავრცელების, მკურნალობისა და პრევენციის შესახებ არასაკმარისმა ინფორმაციამ შესაძლოა სტიგმა გააძლიეროს. საპასუხოდ, პრიორიტეტი მიანიჭეთ ზუსტ და ქვეყანასა და თემზე მორგებული ინფორმაციის შეგროვებას და გავრცელებას, დაზარალებული არეალის, COVID-19-ზე ინდივიდუალური და ჯგუფური მოწყვლადობის, მკურნალობის ვარიანტებისა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. გამოიყენეთ მარტივი სიტყვები და მოერიდეთ კლინიკურ ტერმინებს. **სოციალური მედია** სასარგებლო ინსტრუმენტია, მცირე დანახარჯით მოხდეს ინფორმაციის ფართო აუდიტორიისთვის გავრცელება.
- **სოციალური „ინფლუენსერების“** (გავლენის მქონე პირები) ჩართვა, როგორებიც არიან, მაგალითად, ცნობილი სახეები, რომლებიც საზოგადოებაში პატივსცემით სარგებლობენ ან რელიგიური ლიდერები, და რომლებიც ხშირად გააჟღერებენ გზავნილებს სტიგმის შესამცირებლად და მხარდაჭერას გამოხატავენ სტიგმატიზებული ადამიანების მიმართ. ინფორმაცია უნდა იყოს მიზანმიმართული და გზავნილების გამავრცელებელი ცნობილი სახეებიც უნდა აკმაყოფილებდნენ იმ მოსახლეობის გეოგრაფიულ და კულტურულ მოთხოვნებს, რომელზეც სურთ ზეგავლენის მოხდენა.
- **გავრცელებული ადგილობრივი ადამიანების ხმა**, ისტორიები და ფოტოები, რომელთაც უკვე დაძლიეს COVID-19 ან ზრუნავდნენ ისეთ ადამიანზე, ვინც გადაიტანა ეს დაავადება, იმის აღსანიშნავად, რომ დაავადებულთა უმეტესობა COVID-19-სგან იკურნება. გარდა ამისა, წამოიწყეთ კამპანა „გმირები“ ჯანდაცვისა და სამედიცინო სფეროს იმ მუშაკთა პატივსაცემად, რომლებიც შესაძლოა სტიგმის მსხვერპლი იყვნენ. თემის მოხალისეები ასევე დიდ როლს თამაშობენ საზოგადოებაში სტიგმის შესამცირებლად.
- **დარწმუნდით, რომ ყველა ეთნიკური ჯგუფს წარმოაჩენთ.** ყველა მასალა ხაზს უნდა უსვამდეს, რომ დაზარალებული საზოგადოება მრავალფეროვანია და ყველამ ერთად უნდა იმუშაოს COVID-19-ის გავრცელების შესაფერხებლად. დარწმუნდით, რომ ინფორმაციის ამსახველი ყველა სიმბოლო, ტექსტი და ფორმატი ნეიტრალურია და არ გამოჰყოფს ადამიანთა რომელიმე ჯგუფს.
- **ჟურნალისტური ეთიკა:** მედია რეპორტაჟს, რომელიც ყურადღებას მეტწილად ინდივიდუალური პაციენტის ქცევასა და პაციენტის მიერ „COVID-19-ის გავრცელების“ პასუხისმგებლობაზე ამახვილებს, შეუძლია სტიგმა უფრო გააღრმავოს. მაგალითად, ზოგიერთი მედია საშუალება, სპეკულირებდა ისეთი თემებით, როგორიცაა COVID-19-ის „ნულოვანი პაციენტის“ მოძიება თითოეულ ქვეყანაში. ვაქცინისა და მედიკამენტის შექმნის საჭიროებაზე ხაზგასმამ შესაძლოა გაზარდოს შიში და შექმნას შთაბეჭდილება, რომ უძღური ვართ ინფექციის წინაშე. ამის ნაცვლად, ხელი შეუწყვეთ ინფექციის კონტროლის ძირითადი პრინციპების, COVID-19-ის სიმპტომებისა და დროული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.
- **კავშირების შექმნა:** არსებობს უამრავი ინიციატივა სტიგმასა და სტერეოტიპებთან საბრძოლველად. საჭიროა, მოხდეს ასეთი აქტივობების ერთმანეთთან დაკავშირება, რათა შეიქმნას მოძრაობა და ისეთი გარემო, რომელიც ზრუნავს და თანაუგრძნობს ყველას.

ძირითადი გზავნილები და რჩევები კომუნიკაციის შესახებ

დღესდღეობით, დეზინფორმაციისა და ჭორების გავრცელება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ახალი კორონავირუსის ეპიდემია. ეს ხელს უწყობს დაზარალებულ მოსახლეობაში უარყოფითი გავლენის, სტიგმისა და დისკრიმინაციის გავრცელებას. საჭიროა კოლექტიური სოლიდარობა და მკაფიო, პრაქტიკული ინფორმაციის გავრცელება, რათა ხელი შევუწყოთ საზოგადოებას და ამ პანდემიით დაზარალებულ პირებს.

მცდარი წარმოდგენები, ჭორები და დეზინფორმაცია ხელს უწყობს სტიგმასა და დისკრიმინაციას, რაც შესაბამის რეაგირებას აფერხებს.

- შეასწორეთ მცდარი წარმოდგენები, ამავე დროს, იმის აღიარებით, რომ ადამიანთა გრძნობები და შემდგომი ქცევები ძალზედ რეალურია, მაშინაც კი, თუ ძირითადი ვარაუდი და მოსაზრება მცდარია.
- ხელი შეუწყვეთ პრევენციის, სიცოცხლის გადასარჩენი მოქმედებების, ადრეული სკრინინგისა და მკურნალობის მნიშვნელობას.

საჭიროა კოლექტიური სოლიდარობა და გლობალური თანამშრომლობა, რათა თავიდან იქნას აცილებული დაავადების შემდგომი გავრცელება და შემსუბუქდეს საზოგადოების შფოთვები.

- გააზიარეთ თანაგრძნობის შემცველი ამბები და ისტორიები, რომლებიც უფრო ადამიანურს გახდის პიროვნებისა და ჯგუფების COVID-19-თან ბრძოლის გამოცდილებას
- მხარი დაუჭირეთ და წახალისეთ ისინი, ვინც დაავადებასთან ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება (ჯანდაცვის მუშაკები, მოხალისეები, საზოგადოების ლიდერები და ა.შ)

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას შეაჩერებს ფაქტები, და არა შიში

- გაავრცელეთ ფაქტები და სწორი ინფორმაცია დაავადების შესახებ
- ამხილეთ მითები და სტერეოტიპები
- სიფრთხილით შეარჩიეთ სიტყვები. ჩვენმა კომუნიკაციის მეთოდებმა, შესაძლოა შეცვალოს სხვათა დამოკიდებულება (იხილეთ „რა უნდა ვქვათ და რა არ უნდა ვთქვათ“ სექცია)